



რძის პროდუქტები

2011 წლის ივნისში კომპანია BCG Research-მა 300 ოჯახთან ჩაატარა სატელეფონო კვლევა ქალაქ თბილისში, რომლის თემაც იყო რძის პროდუქტების მოხმარება. თითოეული ოჯახიდან გამოიკითხა რძის პროდუქტების შეძენაზე პასუხისმგებელი წევრი.


რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიებიდან მომხმარებლებისათვის ყველაზე ნაცნობი აღმოჩნდა: სანტე (91.3%), ეკო-ფუდი (74.7%), სოფლის ნობათი (50.7%) და სანტინო (20%), რომელთაგანაც ლიდერად სანტე სახელდება.



ასევე საინტერესოა როგორია მომხმარებელთა ნდობის ფაქტორი რძის პროდუქტების მიმართ. ისინი ნდობას ყველაზე მეტად სანტესა და ეკო-ფუდს უცხადებენ, მათ მოსდევს სოფლის ნობათი და სანტინო.



ჩვენ რესპონდენტებს დავუსვით კითხვა, თუ რომელ რძის პროდუქტს მოიხმარდა ის ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი, რომელზეც პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:




რესპონდენტთა ოჯახების 50.5% რძის ნაწარმს ყოველდღიურად მოიხმარს, 21.7% – კვირაში სამჯერ მაინც, 15.1% – კვირაში ორჯერ, ხოლო 7.7% კვირაში ერთხელ. დარჩენილი

რესპონდენტთა 5% რძის ნაწარმს მოიხმარს ორ კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად ვიდრე თვეში ერთხელ.

ჩვენ ასევე ვეცადეთ გაგვეჩვენათ თუ რომელი კომპანიის მიერ წარმოებულ ცალკეულ რძის პროდუქტებს ყიდულობენ ყველაზე ხშირად ჩვენი რესპონდენტები.

1. **არაჟანი** – რომელი კომპანიის მიერ წარმოებულ **არაჟანს** ყიდულობთ ყველაზე ხშირად?

მომხმარებელთა მესამედი ყიდვისას უპირატესობას სანტეს არაჟანს ანიჭებს, ხოლო რესპონდენტთა მეოთხედს ეკო-ფუდის არაჟანი ურჩევნია.




სხვა	
ნატურალ+	0.9
რუსული	0.9
ამალთეა	0.5
წეროვანი	0.5
ახალი პროდუქტი	0.5
ფერმერი	0.5
შირაქის ველის პროდუქტი	0.5
არ ვიცი/მიწირს პასუხის გაცემა	0.5

დასახელებული ბრენდების არაჟნის შეძენის ძირითად მიზეზებად კი სახელდება:

1. გემრიელია – 52.2%
2. მივეჩვიე – 12.5%
3. ნატურალურია – 10.7%
4. ხარისხიანია – 10.3%
5. ოჯახის წევრებს (ბავშვებს) უფრო მოსწონთ – 4.5%
6. სქელია – 4%
7. ნოყიერია – 3.6%
8. ფასი შეესაბამება ხარისხს – 2.7%
9. უფრო სანდოა – 2.7%
10. საიმედოა – 2.2%
11. სხვა – 16.1%

2. **ხაჭო** – რომელი კომპანიის მიერ წარმოებულ **ხაჭოს** ყიდულობთ ყველაზე ხშირად?

ყველაზე ხშირად რძის პროდუქტების მომხმარებლები ყიდულობენ სანტეს, ეკო-ფუდისა და სოფლის ნობათის ხაჭოს, შესაბამისი თანმიმდევრობით.




დასახელებული ბრენდების ხაჭოს შეძენის ძირითად მიზეზებად კი სახელდება:

1. გემრიელია – 46.7%
2. ნატურალურია – 11.3%
3. ხარისხიანია – 11.3%
4. მივეჩვიე – 11.3%
5. დაბალცხიმოვანია – 5.7%
6. იაფია – 3.3%
7. ოჯახის წევრებს (ბავშვებს) უფრო მოსწონთ – 3.3%
8. ყოველთვის გაყიდვაშია – 2.4%
9. უყვართ ოჯახის წევრებს – 2.4%
10. უფრო სანდოა – 2.4%
11. სხვა – 19.3%

3. რძე – რომელი კომპანიის მიერ წარმოებულ რძეს ყიდულობთ ყველაზე ხშირად?

პირველ ადგილზე დგას სანტეს რძე, რომელსაც რესპონდენტთა მესამედზე მეტი მოიხმარს, მას მოსდევს სოფლის ნობათი (21.9%) და ეკო-ფუდი (13.5%).




სხვა	
ამალთეა	0.6
ქობულეთური-სისტა	0.6
დედოფლისწყაროს რძის პროდუქტების ქარხანა	0.6
ნატურალ+	0.6
ახალი პროდუქტი	0.6
ფერმერი	0.6
პარმალატი	0.6
ბელი გოროდ	0.6
რუსული	0.6
ზოგადად უცხოური	0.6

დასახელებული ბრენდების რძის შექმნის ძირითად მიზეზებად კი სახელდება:

1. გემრიელია – 46.5%
2. ნატურალურია – 20.6%
3. ხარისხიანია – 11%
4. მივეჩვიე – 11%
5. იაფია – 4.5%
6. ოჯახის წევრებს (ბავშვებს) უფრო მოსწონთ – 4.5%
7. მომწონს დიზაინი (ლამაზადაა შეფუთული) – 3.9%
8. უყვართ ოჯახის წევრებს – 3.2%
9. სხვა – 19.4%

4. **იოგურტი** – რომელი კომპანიის მიერ წარმოებულ **იოგურტს** ყიდულობთ ყველაზე ხშირად?

იოგურტის შემთხვევაშიც ლიდერობს სანტეს პროდუქცია (40%), მას მოსდევს ეკო-ფუდი (14.5%) და სოფლის ნობათი (14.5%).




დასახელებული ბრენდების იოგურტის შექმნის ძირითად მიზეზებად სახელდება:

1. გემრიელია – 57.8%
2. ხარისხიანია – 17.4%
3. ოჯახის წევრებს (ბავშვებს) უფრო მოსწონთ – 11%
4. ნატურალურია – 8.3%
5. მივეჩვიე – 6.4%
6. მომწონს დიზაინი (ლამაზადაა შეფუთული) – 3.7%
7. ქართულია – 2.8%
8. სხვა – 19.3%

5. **კეფირი** – რომელი კომპანიის მიერ წარმოებულ **კეფირს** ყიდულობთ ყველაზე ხშირად?

კეფირის შემთხვევაში განსხვავებული სურათი გვაქვს, მისი მომხმარებლების თითქმის ნახევარი სოფლის ნობათის (46%) კეფირს ანიჭებს უპირატესობას, ეკო-ფუდს მოიხმარს 28.6%, ხოლო სანტეს მხოლოდ 19%.




დასახელებული ბრენდების კეფირის შემენის ძირითად მიზეზებად სახელდება:

1. გემრიელია – 58.7%
2. ხარისხიანია – 11.1%
3. ნატურალურია – 9.5%
4. მივეჩვიე – 9.5%
5. უყვართ ოჯახის წევრებს – 4.8%
6. ოჯახის წევრებს (ბავშვებს) უფრო მოსწონთ – 4.8%
7. დაბალცხიმოვანია – 3.2%
8. სხვა – 15.9%

6. **მაწონი** – რატომ ყიდულობთ თქვენს მიერ დასახელებული კომპანიის **მაწონს**?

მომხმარებელთა მესამედი სანტეს მაწონს მოიხმარს, რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედი ეკო-ფუდს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო სოფლის ნობათის მაწონს მხოლოდ 15% ხვდა წილად.




დასახელებული ბრენდების მაწვნის შექმნის ძირითად მიზეზებად სახელდება:

1. გემრიელია – 51%
2. ნატურალურია – 16.3%
3. მივეჩვიე – 10.6%
4. ხარისხიანია – 10.1%
5. ოჯახის წევრებს (ბავშვებს) უფრო მოსწონთ – 4.3%
6. უყვართ ოჯახის წევრებს – 3.4%
7. იაფია – 2.9%
8. სხვა – 19.2%

7. **კარაქი** – რომელი კომპანიის მიერ წარმოებულ კარაქს ყიდულობთ ყველაზე ხშირად?

ყველაზე ხშირად მომხმარებლები სანტესა და შატილის კარაქს ყიდულობენ, მათ ოდნავ ჩამორჩება ეკო-ფუდის კარაქი. ასევე პოპულარობით სარგებლობს რუსული და ზოგადად უცხოური წარმოების კარაქი.




დასახელებული ბრენდების მაწვნის შემენის ძირითად მიზეზებად სახელდება:

1. გემრიელია – 46.7%
2. ხარისხიანია – 22.6%
3. მივეჩვიე – 10.8%
4. ნატურალურია – 8.5%
5. იაფია – 4.2%
6. ნოყიერია – 3.3%
7. უყვართ ოჯახის წევრებს – 3.3%
8. ოჯახის წევრებს (ბავშვებს) უფრო მოსწონთ – 3.3%
9. ფასი შეესაბამება ხარისხს – 2.4%
10. მაღალი ცხიმოვანობა – 2.4%
11. სხვა – 19.3%

ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო თუ რამდენად მოახერხა ცნობადობის მოპოვება ბაზარზე ახლმა შემოსულმა სანტეს ერთ-ერთმა ბრენდმა სანტინომ. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა 83.3%-ს გაუგია ამ ბრენდის შესახებ და მათი ნაწილი უკვე აქტიურადაც მოიხმარს მას.



გაგიგიათ თუ არა რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია სანტინო?



აქვე შეგიძლიათ შეიტყოთ თუ კონკრეტულად რა სახის ინფორმაციას ფლობს მოსახლეობა სანტინოს რძის პროდუქტების შესახებ.

გამიგია მაგრამ არაფერი მიყიდა	29.0 %
რამდენჯერმე ვიყიდე სასინჯად	9.0 %
რეკლამიდან სახელი ვიცი, მაგრამ არ გამისინჯავს	7.0 %
სანტეს შვილიბილია, იგივე სანტეა	6.7 %
ჩემი ოჯახი მუდმივად იყენებს სანტინოს პროდუქტს	6.0 %
გამიგია, მიყიდა, გაძვირდა	2.7 %
სანტინო ახალია ბაზარზე	2.7 %
გამიგია აქებენ	2.7 %
გავსინჯე სანტინოს კარაქი და მომეწონა	2.3 %
ნატურალური პროდუქტები აქვს	2.3 %
რძე მომეწონა, კარგია ბავშვებისთვის	1.7 %
მაწონი და რძე მომეწონა მაგრამ ძვირია	1.7 %
ძვირიანი პროდუქტები აქვთ	1.3 %
ყველაზე კარგი პროდუქტი აქვს	1.0 %
სახელი გამიგია, მაგრამ რა პროდუქტს უშვებს არ ვიცი	1.0 %
კარაქი არ მომეწონა	1.0 %
გამიგია, მაგრამ არ მირჩიეს	0.7 %
შევიძინე ხაჭო მომეწონა ფასს ამართლებს	0.7 %
რეკლამიდან ვიცი რომ მზადდება ნატურალური რძით	0.7 %
იოგურტი მომეწონა	0.7 %
რეკლამიდან ვიცი რომ მზადდება ქართული რძისაგან	0.7 %
კარგი პროდუქტი აქვს, მაგრამ ძვირია	0.3 %
სანტინოს ბარნელი ჯობია	0.3 %
ნატურალურია, მაგრამ ძვირია	0.3 %
გემრიელია, მაგრამ ძვირია	0.3 %
რეკლამაში მინახავს, გაყიდვაში არა	0.3 %
ძალიან ცხიმიანი ხაჭო აქვს არ მომეწონა	0.3 %
მდნარი ყველი გამისინჯავს არაუშავს	0.3 %
ბიომაწონი მარტო სანტინოს აქვს	0.3 %
მინახავს სანტინოს კარაქი მაგრამ არ შემიძენია	0.3 %
გამიგია სანტინოს ნაყინი	0.3 %
ხაჭო მშრალი აქვს არ მომეწონა	0.3 %
მიყვარს სანტინოს იოგურტი და ტკბილი საჭოვები	0.3 %
ცხიმიანია	0.3 %
ჩემს შვილებს მოსწონთ	0.3 %